პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

24 თებერვალი კვირა 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 47 (15868)

25 თებერვალი საბჭოთა საქართველოს დაბადების დღეა

საბჭოთა საქართველო 53 წლისაა

გ. ძოწენიძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

53 წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შედეგად, დაიწყო ახალი ერა ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში. საბჭოთა ხალხების ერთიან, ძმურ ოჯახში. კომუნისტური პარტიის ყოველდღიური ზრუნვისა და ბრძნული ხელმძღვანელობით, მშრომელი მასების თავდადებული, შემოქმედებითი შრომის შედეგად საბჭოთა საქართველო მოკლე ისტორიულ დროში გადაიქცა მსხვილი ინდუსტრიის, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის ყოველმხრივ განვითარებული, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის მქონე რესპუბლიკად.

საბჭოთა საქართველოს დღევანდელი დღე მკაფიო მაგალითია იმისა, თუ რისი მიღწევა შეუძლია ქვეყანას სოციალური და ეროვნული თავისუფლების მოპოვების შემდეგ, რაც კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების შესანიშნავი დადასტურებაა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა თავის სიტყვაში საბჭოთა საქართველოს შექმნის 50 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, რომელიც თბილისში გაიმართა, თქვა რომ „როცა საქართველოს კომპარტიისა და მშრომელების დამსახურებაზე ვლაპარაკობთ, ამით აღვნიშნავთ ყველა საბჭოთა კომუნისტის, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის მიღწევებსაც. დღევანდელი საქართველო წარმოუდგენელია იმ სპეციალისტების გარეშე, რომლებიც არა მარტო საქართველოს, არამედ აგრეთვე მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, გორკის, ბაქოს, ერევნისა და ბევრი სხვა ქალაქის უმაღლესმა სასწავლებლებმა მოამზადეს. წარმოუდგენელია დღევანდელი საქართველო იმ სულიერ სიმდიდრეთა გარეშე, რომელთა უხვი წყარო მისთვის იყო და არის საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის კულტურისა და ხელოვნების საგანძური. საქართველოს თანამედროვე სახეიმ ურღვევი სამეურნეო, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული ურთიერთობის შედეგია. რომელიც საქართველოს ორგანულად კავშირებს ჩვენი სამშობლოს სხვა მოძმე რესპუბლიკებთან და ხალხებთან“.

დიახ, საბჭოთა ხალხების და მათ შორის ქართველი ხალხის დადი გამარჯვებები იმის შედეგია, რომ კომუნისტურმა პარტიამ, საბჭოთა ხელისუფლებამ შეარეს და შეადღაბეს ხალხთა მძლე კავშირი ძმური, რომელმაც ჩაბორჩენილი ერები პროგრესის გზაზე გამოიყვანა. საბჭოთა ხალხთა ურღვევმა კავშირმა საუძლო სამოკალაქო ომისა და ინტერვენციის სიძნელეებს. ფაშისტური ურდოების ვერაგულ თავდასხმას და იქცა მსოფლიოში უძლიერეს სახელმწიფოდ და მშვიდობის ბურჯად.

ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხები მხურვალედ იწონებენ და უჭერენ მხარს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს. ბარადად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის აქტიურ ხელმძღვანელობას. რომლის მიზანია ხელსაყრელი პირობების შექმნა კომუნიზმის ასაშენებლად, მშვიდობის განსამტკიცებლად, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. „კომუნისტური საზოგადოების წარმატებული მშენებლობა, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვაში პარტიისადმი. საბჭოთა ხალხისადმი. — საბჭოთა ხალხის ღირსეული წვლილია სოციალისტური თანამეგობრობის. ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეში. ალიბობობის სოციალურ პროგრესში“.

სწორედ პარტიის ლენინურმა საშინაო და საგარეო პოლიტიკამ განაპირობა ის დიდი წარმატებები, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა მეცხრე ხუთწლიდის მესამე, გადამწყვეტ წელს იკონომიკისა და კულტურის ყველა სფეროში. ამ დიდ მიღწევებში თავისი ღირსეული წვლილი შეაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას.

ბრძოლისა და გამარჯვების საბელოვანი გზა განვლო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა — საქართველოს კომპარტიამ. რომელმაც მრავალი ბრწყინვალე ფურცელი ჩაწერა პარტიის დიად ისტორიაში. დარაზმა საქართველოს მშრომელები თვითმყურობელობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მიიყვანა საბჭოთა ხალხების დიდ ოჯახში და წარმართა სოციალიზმის მშენებლობისაკენ.

ცნობილია, რომ რევოლუციამდელი საქართველოს მრეწველობა ძირითადად წარმოდგენილი იყო სამოთმამპოვებელი და ნავთობგადამამუშავებელი დარგებით და შინამრეწველური საწარმოებით. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ძირეულად შეიცვალა საქართველოს მრეწველობის ხასიათი. აშენდა მრავალი ინდუსტრიული ცენტრი და ქალაქი, შეიქმნა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვით აღჭურვილი მძლავრი საწარმოები. ეს იყო საბჭოთა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის კურსის, კომუნისტური პარტიის გენერალური ხაზის განხორციელების შედეგი.

ვ. ი. ლენინის კოოპერაციული გეგმის საფუძველზე სოფლის მეურნეობის სოციალისტურ რელსებზე გადაყვანამ ახალი, სოციალისტური ყოფა-ცხოვრება დამკვიდრა სოფლად, რამაც ქართველი გლეხობა შეძლებული და კულტურული ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანა.

საქართველოს ინდუსტრიალიზაცია და დაჩუქმაცებული, წვრილგლეხური მეურნეობის სოციალისტურ გზაზე გადაყვანა, რაც კომუნისტური პარტიის უშუალო ზრუნვითა და ხელმძღვანელობით განხორციელდა, გახდა ნამდვილი რევოლუცია მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, პარტიამ ასევე წარმატებით განახორციელა კულტურული რევოლუციაც.

დღევამდელ ინდუსტრიულ საქართველოს აქვს მძლავრი ენერგეტიკული ბაზა, რომელიც თითქმის მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების პერიოდში შეიქმნა და ურომლისოდაც ვერ განვითარდებოდა სახალხო მეურნეობა. დღეს რესპუბლიკის ეკონომიკის წინსვლას 760-ზე მეტი ელსადგური ემსახურება, რომლებიც წელიწადში 9 მილიარდ კილოვატსაათამდე ელექტროენერგიას აწვდიან ჩვენს სახალხო მეურნეობას, ეს მაშინ, როცა 1913 წელს სულ 20 მილიონი კილოვატსაათი იქნა გამომუშავებული.

არნახულ განვითარებას მიაღწია მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, კვების მრეწველობის დარგებმა. თუჯი და ნაგლინი, ფოლადი და ფეროშენადნობები, ელმავლები და ავტომანქანები, ზუსტი ხელსაწყოები და ტრაქტორები, ელექტრონულ-გამოსათვლელი მანქანები და სასოფლო-სამეურნეო მანქანები — ეი არა-სრული სია იმ სამრეწველო პროდუქციისა, რასაც საბჭოთა საქართველო უშვებს.

საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის აყვავების ერთ-ერთი მკაფიო მაჩვენებელია მისი სამრეწველო პროდუქციის სულ უფრო მზარდი მონაწილეობა საბჭოთა კავშირის ექსპორტში.

საქართველოს მშრომელთა წარმატებანი აღინიშნა სამშობლოს მაღალი ჯილდოებით — ორი ლენინის ორდენით, ოქტომბრის რევოლუციისა და ხალხთა მეგობრობის ორდენებით,—ორმეტიც ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო დროშაზე კიაფობენ.

განსაკუთრებით საუურადღებოა გასული წლის მიღწევები. როგორც ცნობილია, 1973 წელი იყო მეცხრე ხუთწლიდის მესამე გადამწყვეტი წელი და ამ წლის შედეგებზე ბევრად იყო დამოკიდებული მთელი ხუთწლიდის წარმატებები. შეიძლება ითქვას, რომ ის დიდი ამოცანები, რომლებიც რესპუბლიკის წინაშე იდგა გასულ წელს, წარმატებით შესრულდა.

მხოლოდ ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეუნელებელი, პრინციპული ბრძოლა გააჩაღა იმ ნაკლოვანებების, ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, რომლებსაც უკანასკნელ წლებში ჰქონდა ადგილი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

ხუთწლიდის მესამე. გადამწყვეტი წელი იქცა საქართველოს მშრომელთა მნიშვნელოვანი მიღწევების წელიწადად იმ დიდ ღონისძიებათა წარმატებით განხორციელებაში, რომელიც მოიცავს სახალხო მეურნეობის პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის ამაღლებას, ანტისაზოგადოებრივი მოვლენების აღმოფხვრას, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმებისა და პრინციპების აღდგენას, რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ყველა სფეროში კლიმატის გაჯანსაღებას და სხვ. ყოველივე ამის შედეგად რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე, 1973 წლის 21 დეკემბრისათვის, შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის გეგმა. ფართოდ გაშლილმა სოციალისტურმა შეჯიბრებამ თავისი ნაყოფი გამოიღო. გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია 140,7 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია. სამრეწველო წარმოების მატებამ 1972 წელთან შედარებით 7.3 პროცენტს მიაღწია. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით მიღებულია პროდუქციის მატების. 83,6 პროცენტი.

მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები მოხდა კაპიტალურ მშენებლობაში. თუ უკანასკნელი 7 წლის მანძილზე (1973 წლამდე) საექსპლოატაციოდ არ გადაცემულა გეგმით გათვალისწინებული 2,7 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, გასულ წელს მთლიანად შესრულდა სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა პროგრამა. ამოქმედებულია 30 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე 1972 წელს. საექსპლოატაციოდ გადაეცა 1.967 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი; კაპიტალდაბანდებათა მარტო ცენტრალიზებული წყაროებით საექსპლოატაციოდ გადაეცა 1,5-ჯერ მეტი საცხოვრებელი ფართობი, ვიდრე 1972 წელს.

საქართველოს მრეწველობისა და ტრანსპორტის მოწინავე მუშაკებს, რომლებმაც ხუთწლიდის გადამწყვეტ წელს განსაკუთრებულ წარმატებებს მიაღწიეს გეგმების და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში, სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭათ. ესენი არიან დ. ვ. ბადდავაძე — საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 25 მოძრავი მექანიზებული კოლონის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, ბ. კ. ლაგვილავა — ზუგდიდის № 1 ჩაის ფაბრიკის მუშა, ე. ი. ოშხერელი — ქ. ქუთაისის № 4 ავტოსაწარმოს მძღოლი, გ. ნ. კურტანიძე — თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის ბრიგადირი, ი. თ. ფოცხვერაშვილი — თბილისის სატვირთო სადგურის მატარებლის შემდგენელი, გ. ა. ტყემალაძე — ტრესტ „ჭიათურმარგანეცის“ ლენინის სახელობის მაღაროთსამმართველოს გვირაბგამყვანი.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისათვის საეტაპო იყო 1972 წლის 20 ნოემბრის პარტიული აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საშემოდგომო მინდვრის სამუშაოების წარმატებით დამთავრებას და ახალი სასოფლო-სამეურნეო წლისათვის მზადებას. კრებამ გამოავლინა ის სერიოზული ნაკლოვანებები, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო წარმოებისადმი პარტიულ ხელმძღვანელობაში იყო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქმედითმა ღონისძიებებმა თავისი შედეგი გამოიღო. უკვე გასულ წელს, ძირითადად წარმოების ინტენსიფიკაციის საფუძველზე, მიღწეულია დიდი წარმატებები. განსაკუთრებით 1973 წელს მეგალითად, 1973 წელს ჩაიეიებმა სახელმწიფოს ჩაბარეს 290 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და გადაჭარბებს ახალი ხუთწლიდის უკანასკნელი წლის დონეებს. 1972 წელთან შედარებით მარცვლეულის მთლიანი წარმოება გაიზარდა 16 პროცენტით, ჩაისა — 8 პროცენტით, ხორცისა — 10 პროცენტით, რძისა — 6 პროცენტით, კვერცხისა — 40 პროცენტით.

ახლა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უფრო ორგანიზებულად. ვიდრე წინა წლებში. ატარებენ პირუტყვის გამოზამთრებას, ინარჩუნებენ სულადობას, ხუთწლიდის გადამწყვეტ წელს სოფლის მეურნეობის სახელოვანი მუშაკების დიდ წარმატებებზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 1973 წლის 9 თვის მონაცემებით მეცხოველეობაში საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის რესპუბლიკის ათასი მშრომელი დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით. ხოლო ნეთელწყაროს ჯაფარიძის სახელობის კოლმეურნეობის მწველავს ზ. მ. ალხანიშვილს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. გარდა ამისა, 1973 წლის შედეგების მიხედვით, სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოებულია 3.721 მშრომელი, მათგან ყველაზე მოწინავეებს მიენიჭათ

(დასასრული მე-2 გვ.).

წინ, ახალი გამარჯვებებისაკენ, ჩემო სამშობლოვ!

ვლ. ზარიძისა და ხ. პილაძის პლაკატი.

ნოდარ გურეშიძე

მამულის ძახილი

არა, ეს არასოდეს
ჩვენ არ დაგვეძახვის
ყანაში სახნისი,
ბრძოლაში მახვილი,

მამული
დღეს შრომა-გარჯისთვის
გვეძახის,
გულის ძახილია—
მამულის ძახილი.

ეს სიახლი გვეძახის,
ხეცოცხლე გვეძახის,
რკინა-გასაკვერი,
ხახლი დასახური.

ახლად ჩასაყრელი
ზვარი თუ ვენახი,
კვირტი — გაზაფხულის
გულში ჩასახული.

ძეგლი — ასაგები,
წიგნი — დასაწერი,
შარა — გასაგრელი,
ხიდი — გასადები,

მაღალი კაშხალის
ფოლადის ფაცერი,
სინათლე,
სინათლე —
ქოხში ასანთები.

გამარჯელმა მარჯვენამ,
ჭირთან შეებიდებამ,
დროთა სიძნელენი
მხნედ გადმოგვატარა.

დღეს უფრო გვჭირდება,
დღეს უფრო გვჭირდება
სიმტკიცე,
სიმართლე,
ძმობა და გატანა.

ჩვენ სიტყვა გვჭირდება
ხმამაღლა სათქმელი,
ზრუნვას მამულისა —
სინდისი გვავალებს.

რომ უფრო ლამაზი,
რომ უფრო ნათელი,
რომ უფრო კეთილი
გვქონდეს მომავალი.

არა, არასოდეს
ჩვენ არ დაგვეძახვის
ყანაში — სახნისი,
ბრძოლაში მახვილი.

მამული
დღეს შრომა-გარჯისთვის
გვეძახის,

გულის ძახილია —
მამულის ძახილი.
დე პურის თავთავი
ზღვასავით ღელავდეს,

დე ხარაჩოები
ზეცამდე ავიდეს,
ჯეტრფი
საქართველოს
დღევანდელს,

და უფრო მეტად
ხვალინდელს,
ხვალინდელს.

ბაბერძნეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბერძნეთის კომუნისტური პარტიის IX ყრილობის დელეგატებსა და ყველა ბერძენ კომუნისტს მგზნებარედ, ძმურად მიესალმება და უსურვებს წარმატებებს მუშაობაში.

საბერძნეთის კომუნისტური პარტია — მუშათა კლასის მებრძოლი ავანგარდი ბერძენი ხალხის ეროვნული ბრძოლა განუწყვეტელი დევნის პირობებში მტკიცედ იბრძვის მშრომელთა ფართო ფენების ძირეული ინტერესებისათვის, იმისათვის, რომ ქვეყანა იხსნას ადგილობრივი ოლიგარქიის ბატონობისა და უცხოთის ეკონომიური და პოლიტიკური დამოკიდებულებისაგან, იბრძვის მისი ნამდვილი დემოკრატიული განვითარებისათვის, რომელიც უზრუნველყოფს აგრეთვე კომუნისტური პარტიის ლეგალურ საქმიანობასა და პოლიტიკურ ემიგრანტთა თავისუფალ ჩამოტრიალებას. საბერძნეთის კომუნისტები მტკიცედ დგანან საერთაშორისო დაძაბულობის შენელების პოზიციებზე და ქვეყნის პროგრესულ ძალებს რაზმავენ ბალკანეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის, ნატოს აგრესიული ბლოკიდან საბერძნეთის გამოსვლისა და მის ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების ლიკვიდაციისათვის საბრძოლველად. ისინი მუდამ უჭერენ მხარს ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარებას.

მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბერძნეთის კომპარტია თანმიმდევრულად იცავს კომუნისტური იდეოლოგიის სიწმინდისა და თავის ორგანიზაციულ ერთიანობას, განსამტკიცებს და ავითარებს ურთიერთობას პატრიოტულ ორგანიზაციებთან და მშრომელთა ფართო მასებთან, რაც, სამართლიანად მიიჩნია ყოველივე ეს მომავალ გამარჯვებათა საწინდრად. პარტია შეურიგებლად ამხილებს მემარჯვენე ოპორტუნისტებსა და მემარცხენე ავანტიურისტებს, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ საბერძნეთის დემოკრატიულ მოძრაობას.

საბჭოთა კომუნისტები დიდად აფასებენ იმ ძმურ ურთიერთობას, რომელიც ჩვენს პარტიებს აკავშირებს 55 წლის მანძილზე, და საბერძნეთის კომპარტიის მნიშვნელოვან წვლილს საბერძნეთისა და სსრ კავშირის ხალხთა ტრადიციული მეგობრობის განვითარებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბერძნეთის მომძმე კომუნისტურ პარტიას უსურვებს მისი რიგების ერთიანი და ორგანიზაციული ერთიანობის შემტკიცებას, მასობრივ პროგრესულ ორგანიზაციებთან მჭიდრო ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარებას, დიქტატურის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის ერთიან ფრონტად მთელი დემოკრატიული ძალების შეკავშირებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი საბრძოლო სოლიდარობას უცხადებს იმ ბერძენ კომუნისტებს, რომლებიც საპატიმრო ციხეებში იტანჯებიან, და გულითადად მიესალმება მათ.

გაუმარჯოს საბერძნეთის კომუნისტურ პარტიას!

დე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ძმური მეგობრობა!

დღეგრძელობა და გამარჯება მარქსიზმ-ლენინიზმს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ალვარო კუნიალს გადაეცა ოქტომბრის რევოლუციის ორდენი

22 თებერვალს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დავალებით ოქტომბრის რევოლუციის ორდენი გადასცა და მისასალმებელი სიტყვით მიმართა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივანს ალვარო კუნიალს.

ამხანაგმა ალვარო კუნიალმა გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მაღალი ჯილდოსათვის.

ა. კუნიალისათვის მაღალი ჯილდოს გადაცემის საზეიმო ცერემონიას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, პასუხისმგებელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

საუბრები სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საუბრები, რომლებშიც მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ა. სუსლოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი და პორტუგალიის კომპარტიის გენერალური მდივანი ა. კუნიალი.

საუბრების დროს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა ერთმანეთს გაუცვლეს თავიანთი პარტიების საქმიანობა, აზრები გაუზიარეს ერთმანეთს მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობისა და საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ პრობლემებზე, აგრეთვე ორივე მხარისათვის საინტერესო სხვა საკითხებზე.

ამხ. ა. კუნიალმა მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა ხალხის მიღწევებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში, სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამის განხორციელებაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პორტუგალიის კომუნისტური პარტიის წარმომადგენლებმა გადაჭრით დაგმეს ჯოლონიური ომის განგრძობის პოლიტიკა, რომელსაც პორტუგალიის მმართველი წრეები ეწევიან გვინეა-ბისაუს რესპუბლიკისა და ანგოლისა და მოზამბიკის ხალხთა წინააღმდეგ. მათ კვლავ განაცხადეს, რომ სავსებით უჭერენ მხარს ამ ქვეყნების ხალხებისა და მათი რევოლუციური პარტიების — პორტუგალიის გვინეისა და მუკანე კონცხის კუნძულების დამოუკიდებლობის აფრიკელთა პარტიის, ანგოლის განთავისუფლების სახალხო მოძრაობის და მოზამბიკის განთავისუფლების ფრონტის ბრძოლას პორტუგალიის კოლონიალიზმის წინააღმდეგ, გამოთქვეს რწმენა, რომ ეს სამართლიანი ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდება.

შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ პორტუგალიის კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მზად არიან კვლავაც განავითარონ ორი პარტიის ძმური ურთიერთობა და თანამშრომლობა. ორივე პარტია მხარს უჭერს ისეთ ეფექტიან ღონისძიებათა განხორციელებას, რომლებიც ითვალისწინებენ კომუნისტური და მუშათა პარტიების მოქმედების ერთიანობისა და შეკავშირების შემდგომ განმტკიცებას.

საუბრებში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების ხემგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი და პორტუგალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი ტ. მენეზესი.

საუბრებმა ჩაიარეს ძმური მეგობრობისა და ყველა განსხილულ საკითხზე ერთსულოვნების ვითარებაში.

ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და მოხსენებების კრებული

პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და მოხსენებების კრებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის საკითხები და უაზახეთის უამრი მიწების ათვისება“. კრებული მომზადებულია ყამრი და ნასვენი მიწების ათვისების 20 წლისთავისათვის. წიგნში შეტანილი ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებანი და სიტყვები, რომლებიც ეძღვნება სოფლის პარტიის პოლიტიკის, სოფლის მეურნეობის განვითარების საკითხებს, განკუთვნებიან 1954-დან 1973 წლების პერიოდს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის კრებულში შეტანილი გამოსვლები მთლიან წარმოდგენას გაძლევენ კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარული პოლიტიკის შესახებ. წიგნში ვრცელი მსჯელობა მოცემული, რომელიც მნიშვნელოვანწილად პირველად იბეჭდება. აღნიშნულს სოციალისტური სოფლის მეურნეობის განვითარების პარტიული ხელმძღვანელობის კამოკიდებულებას; (საკენსი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

1973 წლის გეგმებისა და ნაკისრ სოციალისტურ კალდებულებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოდა მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, თევზის, ხე-ტყისა და წყალთა მეურნეობის, სახელმწიფო კაჭრობის, სამომხმარებლო კოოპერაციის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დიდი ჯგუფი.

დაჯილდოებულთა შორის არიან წარმოების მოწინავენი, რომლებმაც ყველაზე მაღალ შედეგებს მიაღწიეს სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და შრომითი მამაცობის მაგალითი უჩვენეს ხუთწლედის მესამე. გადამწყვეტი წლის გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი იბეჭდება „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს უწყებებსა“ და ადგილობრივ პრესაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ღრმა სამძიმარს უცხადებენ საბჭოთა კავშირის გმირის, გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძის ოჯახს გამოჩენილი საბჭოთა მხედართმთავრის მეუღლისა და ერთგული მეგობრის, აქტიური საზოგადო მოღვაწის

ნინო ივანეს ასულ ლესელიძის

გარდაცვალების გამო, რომელიც დიდი სამამულო ომის წლებში მთელ თავის ძალ-ღონეს აბმარდა მტერზე გამარჯვებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

მაქსიმალურად გამოვიყენოთ სიმძლავრენი, მკვეთრად გავზარდოთ შრომის ნაყოფიერება

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ინიციატივით მიიღეს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ეს დადგენილება ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში ახალი მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია და მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს უსახავს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ პერსპექტივებს.

საქართველოს მშრომელები, რომლებმაც უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, ახლა აანალიზებენ გაწეულ მუშაობას, სახავენ მომავლისათვის ახალ, პასუხსაგებ ღონისძიებებს, იღებენ შემხვედრ, კიდევ უფრო გაზრდილ გეგმებს.

თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამასწინანდელ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განხილულ საწარმოს კოლექტივის ამოცანები 1974 წლისათვის — ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლისათვის.

კრება გახსნა ქარხნის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. რ. ხვედელიანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანვარში ოთხმოცი ტონა ფოლადი გამოადნო გეგმის ზევით თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის იმ ფოლადსადნობმა უბანმა, რომელსაც ზაქარია ყაზიშვილი ხელმძღვანელობს.

სურათზე: უბნის უფროსი ზ. ყაზიშვილი (მარცხნივ) და უბნის მოწინავე მუშები ჩამომსხმელი ო. მამიაშვილი, მეფოლადეები ა. მწითური, თ. მირიანაშვილი, ჩამომსხმელი შ. მაისაშვილი და მეფოლადე ჯ. ლურსმანაშვილი.

ს. კილაძის ფოტო.

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი

თბილისელმა ავიამშენებლებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების ნაწილი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენმის გადაწყვეტილებებს. საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საერთო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, ვადაწყვეტეს ღირსეული წვლილი შეიტანონ ხუთწლედის.

მათ ერთ-ერთმა პირველებმა გამოიჩინეს ინიციატივა — გაეფიდენანათ შეჯიბრება დევიზით: „ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს — დამკვიდრდეს შრომა!“ ავიამშენებლებთა თანამონაწილეობა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მას ყველგან ადუმერეს მხარი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში. პირობის ერთგულმა ქარხნის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო ახალი, 1974 წელი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა 6.8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით უნდა მივიღოთ სამრეწველო პროდუქციის მატების 88 პროცენტი. ამასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, **რომ** უზრუნველყოთ წარმოების ინტენსიფიკაცია. მექანიზმალური გამოიყენოთ საწარმო სიმძლავრენი, გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება ძირითადი საწარმოო ფონდების ირიგიულზე მოწყობილობის მოცდენის ლიკვიდაციის, მათი მუშაობის ავტომატიზაციის, ეფექტიანობის გადიდების გზით.

აქტივის კრებაზე ილაპარაკეს ამის შესახებ, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით ქარხანაში. კერძოდ, მნიშვნელოვანი მუშაობა გაწეული ნაკეთობების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში. მარტო პროგრამული მართვის ჩარხების დანერგვით მიღებულია დაახლოებით 130 თასა მანეთის ეკონომიური ეფექტი. დიტალებს, რომლითა დამზადებას წინათ მნიშვნელოვანი ხარჯები და მაღალკვალიფიციური შემსრულებლები სჭირდებოდა, ახლა საშუალო კვალიფიკაციის მუშები ამზადებენ ნაკლები დანახარჯებით. ფართოდ ინერგება მექანიზებული საწყობები, ელექტრული ტიპის საწყობები. დღეს გარკვეული ნომენკლატურის დიტალების გამოშვების მოცულობა დამოკიდებულია მხოლოდ ორგანიზაციული ხასიათის საკითხებზე, როგორიცაა ორ ცვლად მუშაობა, ხარისხიანი ინარეთი და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

„საქართველოს აგიტპროპრი“ № 4

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჟურნალ **„საქართველოს აგიტპროპრის“** მორიგი, მეოთხე ნომერი.

ჟურნალში გამოქვეყნებულია სტატიები და წერილები: **ა. ბამბადაშვილი** — პოლიტიკურ-მატერიალურ ბოლ ჩვენი ცოდნა, იდეური რწმენა და ენერგია — ხუთწლედის სამსახურში; **რ. ტაკაშვილი** — თვითეული ადამიანის ბედსა და გონებამდე: მშრომელთა აქტივობის ამაღლების ახალი სტიმული; **თ. ზუკაიშვილი** — სრულყოფილ მშრომელთა ეკონომიური განათლება; **ბ. ჯაფარიძე** — დიდის სიბარული: 1973. წელია. ჩვენი ქვეყნისათვის, კაპიტალიზმის ქვეყნებისათვის; **კ. ყუვაკაძე** — ავტორები შეჯიბრების შეაჯალში; **ნ. გურული** — სოფლა და ოჯახი; **ა. ვეფიხანაშვილი** — როგორ პროპაგანდისტი მსმენელებს აკრებს. ჟურნალში დაბეჭდილია სანიმუშო თემატიკა ლექციების, მოხსენებებისა და საუბრებისათვის მარტში და იურიდიული კონსულტაცია.

„კომუნისტი“

მე-2 გვერდი. კვირა, 24 თებერვალი, 1974 წ.

ამას წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის ინიციატივით მიიღეს დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

ეს დადგენილება ჩვენი რესპუბლიკის ისტორიაში ახალი მნიშვნელოვანი ნიშანსვეტია და მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს უსახავს კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზულ პერსპექტივებს.

საქართველოს მშრომელები, რომლებმაც უდიდესი აღფრთოვანებით აღიქვეს ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, ახლა აანალიზებენ გაწეულ მუშაობას, სახავენ მომავლისათვის ახალ, პასუხსაგებ ღონისძიებებს, იღებენ შემხვედრ, კიდევ უფრო გაზრდილ გეგმებს.

თბილისის დამიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის ამასწინანდელ პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე განხილულ საწარმოს კოლექტივის ამოცანები 1974 წლისათვის — ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლისათვის.

კრება გახსნა ქარხნის დირექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა ი. რ. ხვედელიანმა.

ავამოქმედოთ ყველა რეზერვი

თბილისელმა ავიამშენებლებმა, რომლებიც ახორციელებენ სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების ნაწილი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენმის გადაწყვეტილებებს. საქმით უპასუხებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი, და სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საერთო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების „1974 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ვადამდე შესრულებისათვის მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შესახებ“, ვადაწყვეტეს ღირსეული წვლილი შეიტანონ ხუთწლედის.

მათ ერთ-ერთმა პირველებმა გამოიჩინეს ინიციატივა — გაეფიდენანათ შეჯიბრება დევიზით: „ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელს — დამკვიდრდეს შრომა!“ ავიამშენებლებთა თანამონაწილეობა მოიწონა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, მას ყველგან ადუმერეს მხარი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში. პირობის ერთგულმა ქარხნის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო ახალი, 1974 წელი.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1974 წლის სახელმწიფო გეგმით გათვალისწინებული სამრეწველო პროდუქციის წარმოების ზრდა 6.8 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით უნდა მივიღოთ სამრეწველო პროდუქციის მატების 88 პროცენტი. ამასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ამას, **რომ** უზრუნველყოთ წარმოების ინტენსიფიკაცია. მექანიზმალური გამოიყენოთ საწარმო სიმძლავრენი, გავზარდოთ პროდუქციის გამოშვება ძირითადი საწარმოო ფონდების ირიგიულზე მოწყობილობის მოცდენის ლიკვიდაციის, მათი მუშაობის ავტომატიზაციის, ეფექტიანობის გადიდების გზით.

აქტივის კრებაზე ილაპარაკეს ამის შესახებ, თუ რა გაკეთდა ამ მიმართულებით ქარხანაში. კერძოდ, მნიშვნელოვანი მუშაობა გაწეული ნაკეთობების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დარგში. მარტო პროგრამული მართვის ჩარხების დანერგვით მიღებულია დაახლოებით 130 თასა მანეთის ეკონომიური ეფექტი. დიტალებს, რომლითა დამზადებას წინათ მნიშვნელოვანი ხარჯები და მაღალკვალიფიციური შემსრულებლები სჭირდებოდა, ახლა საშუალო კვალიფიკაციის მუშები ამზადებენ ნაკლები დანახარჯებით. ფართოდ ინერგება მექანიზებული საწყობები, ელექტრული ტიპის საწყობები. დღეს გარკვეული ნომენკლატურის დიტალების გამოშვების მოცულობა დამოკიდებულია მხოლოდ ორგანიზაციული ხასიათის საკითხებზე, როგორიცაა ორ ცვლად მუშაობა, ხარისხიანი ინარეთი და აღჭურვილობით უზრუნველყოფა.

კრებაზე აღინიშნა, რომ ოცდაათ ელიფილია მოიწყოს მეორე და მესამე ცვლების მუშაობა. ამასთან ცვლების ავადმყოფობის დამოკიდებულებაზე უნდა განხორციელდეს დამზმარე და მომსახური მუშების განთავისუფლების, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოთა და საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გზით.

კრებაზე აღინიშნა, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია წარმოების მუშაკებისგან მოითხოვს მთელი შეგნებითი ძალებისა და შესაძლებლობების კონცენტრაციას და მიზანდასახულ გამოყენებას, თეორიული ნამუშევრების, ზოგჯერ კი საკუთარი სამეცნიერო გამოკვლევების პრაქტიკულ დანერგვას. წარმოების ინტენსიფიკაცია, ტექნიკის, ტექნოლოგიის სრულყოფა — ეი რა არის შემდგომი წარმატებული მუშაობის საწინდარი.

ამ მიმართულებით ქარხანაში ცოტა რამ როდი გაკეთდა. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე მეცნიერებათან თანამეგობრობის შედეგად განხორციელდა ათობით დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება, რომლებიც მიზნად ისახავენ პროგრამული მართვის ჩარხებზე ჭრის ოპტიმალური რეჟიმების უზრუნველყოფას, კონტროლის ახალი მეთოდებისა და საშუალებების შემუშავებას და დანერგვას.

აქტივის კრებაზე დიდი ყურადღება დაეთმო საწარმოო ფართობის რაციონალური გამოყენების საკითხს. საავიაციო ქარხანაში დაადგენენ საამქროების გაერთიანებისა და მათი ტერიტორიების შემჭიდროვების გზას. მაგალითად, მშენებლობის დამატებითი ხარჯების გაუწევლად იქნება მასობრივი მოთხოვნილების საერნლის კომპლექსურ-მექანიზებული საამქრო.

წინათ საწარმოს საამქროებს ხუთ ფართობს უთმობდნენ ვიღრე დამზმარე, სანამზადო საამქროს. ეს შეიძლება ეარყოფილის გაეღნენას ახლანდელ მთელი საწარმოო მუშაობის შედეგებზე, ვინაიდან ცალკეული კვანძებისა და დიტალების დაგეგმარებით მიეწოდება, მათი უხარისხობა აფერხებდა ძირითად სამუშაოებს. ახლა გადაწყვეტილი აქვთ გაადვარეთოონ სანამზადო საამქროები. აღჭურვონ ისინი სრულყოფილი მოწყობილობით.

კრებაზე ითქვა, რომ წარმოების შემდგომი განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხია საწარმოს უზრუნველყოფა საჭირო ინსტრუმენტით. რესპუბლიკის მანქანათსამშენებლო საწარმოებმა უნდა ვაფიდართოონ საზომი იარაღის ნომენკლატურა, მოაგვარონ საზომი იარაღის წარმოება, ფართოდ უნდა ეჭნეს გამოყენებული მყარშენადნობიანი ფინებით აღჭურვილი საჭრელი იარაღის დასამზადებლად ფხვნილთა მეტალურგია.

ქარხანაში, თქვეს აქტივის კრებაზე, დიდი ყურადღება ეთმობა ლითონის ხარჯის შემცირების საკითხებსაც. მაგალითად, აქ ფართოდ იყენებენ ზუსტ სხმულებსა და ზუსტ ტვიფრებს.

ამასთან კრებაზე აღინიშნა, რომ საწარმოში ჯერ კიდევ ბევრი ნედლეულის ვერ იყენებენ. ახლა, როცა რესპუბლიკის მრეწველობაში მიმდინარეობს შრომის ნაყოფიერების მნიშვნელოვანი ზრდის პროცესი, მოწინავე საწარმოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები არ უნდა სჯერდებოდნენ მიღწეულს, მათ შეუძლიათ და კიდევ უნდა შეიტანონ გაცილებით მეტი წვლილი ტექნიკური პროგრესის საქმეში.

კაცრები გადამწყვეტი ძალაა

ქარხნის კოლექტივი ამაყობს თავისი კადრებით — მუშებით, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, მოსამსახურეებით. ისინი მუდამ არიან ბრგმასათვის. ხარისხისათვის, ეკონომიისათვის ბრძოლის ავანგარდში. მათ შორის შეხვდებით სოციალისტური შრომის გმირებს, სხვადასხვა ორდენისა და მედლის კავალრებს, სსრ კავშირისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებს. მათ დიდ ღირაღლსობას კომუნისტური შრომის დამკვრელები შეადგენენ.

რესპუბლიკაში კარგად იცნობენ მოწინავე ხარატებს, ზეინკლებს, ამწყობებს ვ. ასათიანს, გ. ჟურუას, გ. სამსონიას, ფ. ბარიანს და სხვებს. მათ ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის მესამე, ვადამწყვეტი წლის გეგმა, მათ მიერ დამზადებული პროდუქცია მუდამ ჩინებული ხარისხისაა.

განსაკუთრებული ენთუზიაზმით, თავდადებით მუშაობენ ისინი მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელსაც, რადგან ქარხნის კოლექტივი ამაყობს თავისი კადრებით — მუშებით, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებით, მოსამსახურეებით. ისინი მუდამ არიან ბრგმასათვის. ხარისხისათვის, ეკონომიისათვის ბრძოლის ავანგარდში. მათ შორის შეხვდებით სოციალისტური შრომის გმირებს, სხვადასხვა ორდენისა და მედლის კავალრებს, სსრ კავშირისა და რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოების, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების დეპუტატებს. მათ დიდ ღირაღლსობას კომუნისტური შრომის დამკვრელები შეადგენენ.

რესპუბლიკაში კარგად იცნობენ მოწინავე ხარატებს, ზეინკლებს, ამწყობებს ვ. ასათიანს, გ. ჟურუას, გ. სამსონიას, ფ. ბარიანს და სხვებს. მათ ვადამდე შეასრულეს ხუთწლედის მესამე, ვადამწყვეტი წლის გეგმა, მათ მიერ დამზადებული პროდუქცია მუდამ ჩინებული ხარისხისაა.

განსაკუთრებული ენთუზიაზმით, თავდადებით მუშაობენ ისინი მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელ წელსაც, რადგან

(დასასრული)

სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება. მათ შორის ა. ზ. ღოლიჭაშვილს — გორის რაიონის ბერბუკის მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირს, ე. ი. გორგაძეს — ლაგოდეხის რაიონის ძერყინსკის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოეს, ნ. მ. ჯინჭარაძეს — აჯარის ასსრ ქობულეთის რაიონის სოფ. წყავროკას კოლმეურნეობის მეჩაიეს, ა. ჩ. ჯოუბას — აფხაზეთის ასსრ ოჩამჩირის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს, გ. ა. ქადეიშვილს — მახარაძის რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეს, ს. ჭ. ჭოქოზაშვილს — ქარელის რაიონის ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის მუშას, ი. ა. ფიროსმანაშვილს — ზითელწყაროს რაიონის ოდანოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს.

უმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა. ამის მაჩვენებელია ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი. 1973 წელს მან მნიშვნელოვნად გადააჭარბა ხუთწლედის პირველი ორი წლის დონეს; რეალური შემოსავალი, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, 1972 წელთან შედარებით 4.5 პროცენტით გაიზარდა. გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასი, კოლმეურნეთა შრომითი ანაზღაურება, გადიდდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები. მიღებულია ენერგიული ზომები სახალხო განათლების სისტემის სრულყოფისათვის, სამედიცინო, სავაჭრო, საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად.

საბჭოთა საქართველოს მშრომელების თავდადებულ შრომას ხუთწლედის გადამწყვეტ წელს მოწმობს ის ფაქტი, რომ მრეწველობის, მშენებლობისა და ტრანსპორტის მუშაკთა 1974 წლის სრულიად საკავშირო სოციალისტური შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის საქართველოს სსრ დაჯილდოვდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშით. ეს დროშა საზეიმოდ ვითარებაში გადასცა რესპუბლიკას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლ. ვ. სმირნოვმა.

წითელი დროშით დაჯილდოვდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკა. გარდა ამისა, დროშები მიენიკა საქართველოს სსრ 8 საწარმოს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციას.

„ეროვნული ბიბლიოთეკა“

საბჭოთა საქართველო 53 წლისაა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ლ. ვ. სმირნოვმა.

წითელი დროშით დაჯილდოვდა აფხაზეთის ასს რესპუბლიკა. გარდა ამისა, დროშები მიენიკა საქართველოს სსრ 8 საწარმოს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციას.

საქართველოსა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოების გასადიდებლად გაჩაღებულ სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წითელი დროშებით დაჯილდოვდა საქართველოს რესპუბლიკა ამ აჭარის ასს რესპუბლიკა, 12 რაიონი, კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა.

სამობლოს ეს ჭილოლები სტიმულს აძლევენ ჩვენს მშრომელებს, აღაფრთოვანებენ მათ ახალი ძალით იბრძოლონ ხუთწლედის მეოთხე. განმსაზღვრელი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ საქართველოს მიღწევებისა და კულტურის აყვავებით. რესპუბლიკა. სადაც რევოლუციამდე მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ეწერა-კითხვის უცოდინარი იყო, დღეს უმაღლესი განათლების მქონე პირთა რაოდენობით ყოველ 1000 სულ მოსახლეზე მსოფლიოში პირველ ადგილზე დგას. საქართველოს 18 უმაღლეს სასწავლებელს, რომლებიც მრავალი სპეციალობის კადრებს უმზადებენ ჩვენს დიად ქვეყანას. გასულ წელს შეემატა მე-19 — ქუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტი.

დღეს ჩვენში 4.500-ზე მეტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. სადაც 77 ათასზე მეტი ბედგოგი ემსახურება მოზარდი თაობის აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. საქართველოში მოქმედებს 2.100-ზე მეტი კულტურის სახლი და საკლუბო დაწესებულება. 75 მუზეუმი. 23 პროფესიული თეატრი. თუ 1913 წელს საქართველოში სულ 25 ბიბლიოთეკა იყო 18 ათასი წიგნადი ფონდით. ამჟამად მშრომელებს ემსახურება 3.600-ზე მეტი ბიბლიოთეკა. რომელთა საერთო წიგნადი ფონდი 28 მილიონს აღემატება.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 8 ათასამდე მეცნიერი ემსახურება საბჭოთა მეცნიერების წინსვლას. მათი წარმატებანი ფართოდ არის ცნობილი. ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ქართველ მეცნიერთა „შრომების თარგმნა უცხო ენებზე. მათი არჩევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, დარგობრივი აკადემიების ნამდვილ წევრებად და წევრ-კორესპონდენტებად, აგრეთვე საზღვარგარეთის აკადემიებისა და სამეცნიერო საზოგადოებების წევრებად.

ფართოდ განვითარდა წიგნების, ჟურნალ-გაზეთების გამოცემა.

ბრწყინვალე გზა გაიარა საბჭოთა ხელისუფლების წლებში ეროვნულმა ლიტერატურამ და ხელოვნებამ. ქართველი მწერლების მრავალი ნაწარმოები შესულია საბჭოთა ლიტერატურის ოქროს ფონდში. ჩვენი პოეტების, პროზაიკოსების, დრამატურგების, კომპოზიტორების, მხატვრებისა ნაწარმოებებმა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის ხალხთა სიყვარული და აღიარება.

რესპუბლიკის მშრომელთა დიდი წარმატებები, განპირობებულია საქართველოს კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი მოღვაწეობით, რომელიც თავის საქმიანობაში განუხრელად ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის მითითებებით. სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით.

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების — სოციალისტური სახელმწიფოს პოლიტიკური საფუძვლის — ნახევარსუფუნოვანი საქმიანობა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომ ამაღლებას ემსახურება. საბჭოები ენერგიულად, საქმის ცოდნით, მშრომელთა ყოველმხრივ მხარდაჭერაზე დაყრდნობით ახორციელებენ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობას რესპუბლიკაში და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით წარმატებით წყვეტენ იმ პრობლემებს, რომლებსაც ყოველდღიურად აყენებს ცხოვრება, უკანასკნელ წლებში საბჭოების როლი საქართველოს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში განსაკუთრებით ამაღლდა, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ზრუნვისა და ყურადღების შედეგია.

სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში ახალი დიდი ნაბიჯი იყო სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად მიღებული კანონი სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების. დეპუტატთა სტატუსის შესახებ“. ამ აქტმა მნიშვნელოვნად გაზარდა ხალხის რჩეულთა — უფაღლესი საბჭოებისა და ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების ავტორიტეტი და აქტივობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, რესპუბლიკის მთავრობა ქმედით ღონისძიებებს ახორციელებენ ხელმძღვანელი კადრების სწორად შერჩევისა და განაწილებისათვის.

ჩვენ უმოკლეს დროში უნდა გამოვასწოროთ რესპუბლიკაში წინა წლებში დაშვებული სერიოზული შეცდომები კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საქმეში.

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც ჩვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა ხალხმა, მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ ზეიმით აღნიშნეს საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილე. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ნახევარსაუკუნოვანი ისტორია, — თქვა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა ამ თარიღისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე, — ეს არის საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებული ყველა ხალხის ურღვევი ერთიანობისა და მეგობრობის შექმნის ისტორია. ეს არის სოციალისტური რევოლუციით შობილი სახელმწიფოს არნახული ზრდისა და ყოველმხრივი განვითარების ისტორია, რომელიც დღეს მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო გახდა. ეს არის მისი დროშის ქვეშ გაერთიანებული. ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ერისა და ეროვნების ეკონომიური. პოლიტიკური და კულტურული დაკვაკაცებისა და აყვავების ისტორია“.

საბჭოთა ქვეყნის დიდ წარმატებებში საქართველოს მშრომელებსაც მიუძღვით თავიანთი ღირსეული წვლილი. დაიწყო ახალი. ხუთწლედის მეოთხე. განმსაზღვრელი წელი. რომლის დავალებათა წარმატებით განხორციელებისათვის საჭიროა დაძაბული. შემოქმედებითი შრომა. რესპუბლიკის მშრომელები. ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი აღაფრთოვანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვამ პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი. ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტში მეცნიერულადაა დასაბუთებული კომუნისტურ მშენებლობაში ახალი შრომითი წარმატებების მიღწევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებების, ამხანაგ. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში დასახული ამოცანების განხორციელების გზები.

**საბჭოთა სახელმწიფოს წარმატებებმა საგარეო პოლიტიკის დარგში, პირადად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის წვლილმა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში მტკიცე პირობები შექმნეს საბჭოთა ხალხების მშვიდობიანი აღმშენებლობითი შრომისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ მიმართვის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა, ამ მიმართვის ფილოსოფიაა და ლენინური კურსი. ეს ნიშნავს ჩვენი ბრალეროვანი ხალხების მშვიდობიანი ერთობლივი შრომისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამ მიმართვის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთსულოვანი გადაწყვეტილებაა, ამ მიმართვის ფილოსოფიაა და ლენინური კურსი. ეს ნიშნავს ჩვენი ბრალეროვანი ხალხების მშვიდობიანი ერთობლივი შრომისათვის. სკკპ ცენტრალური კომიტეტის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის

ჭაბუკული ჯიგრის წიგნი

დიად მონაპოვართა დასაცავად

ჰე, მამულო, გრძნობა შენი მოვლისა,
მარად ეველა ჩვენთაგანის ვალია!

სამხედრო სამსახური სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების რიგებში წარმოადგენს სსრ კავშირის მოქალაქეთა საპატიო მოვალეობას.

სსრკ კონსტიტუციიდან.

ამაას წერენ ჩვენს თანამემამულეებზე

მამათა დიდების მემკვიდრე

მზვერავები „მოწინააღმდეგის“ ზურგში მოექცნენ. მათს გონიერ და გაბედულ მოქმედებაზე დიდად იყო დამოკიდებული ამ ოპერაციის წარმატება. როცა მზვერავებს დავალების შესახრულებლად გზავნიდა, მეთაურმა იცოდა თუ რა ძნელი იყო გადასასვლელთან მისვლა და მისი აფეთქება. მაგრამ მას აიმედებდა მზვერავთა ძვირფასი ფეხებანი — გამბედაობა, მენაღმის საქმის მაღალი ცოდნა, გამჭრიახობა და გამძლეობა. ამ მზვერავთა შორის იყო ქართველი კომუნისტი წულუკიძის რაიონიდან თამაზ ჯანჯღავაც.

...გამთენიის სამშვიდე მძლავრმა აფეთქებამ დაარღვია, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, ავტომატები, მოტმსროლელები „მოწინააღმდეგეს“ გონზე მოსვლის საშუალებას არ აძლევენ, შეიჭრნენ მის განლაგებაში... დარტყმა ისე მძლავრი და მოულოდნელი იყო, რომ

თამაზ ჯანჯღავა.

„მტერი“ დაიბნა და უწესრიგოდ დაიხია უკან, მიაწყდა მდინარის ნაპირს, მაგრამ აქ სერჟანტ თ. ჯანჯღავას ათეულის მებრძოლთა გადამღობ ცეცხლს წააწყდა...

მე ის მაშინვე ვიცანი, მის შესახებ ნახევარი წლის წინ წერდა ჯარისკაცული გაზეთი. გონებაში გაცოცხლდა 1973 წლის ზაფხულის დღეები—მცხუნვარე მზეს დაეჩქარა მთებში თოვლის დნობა, ადიდდა მდინარეები, რომლებიც ქალაქს წალეკვას უქადდა. მშრომელებს გვერდში ამოუდგნენ საბჭოთა მეომრები. ისინი მედგრად ებრძოდნენ სტიქიას... ქალაქი გადარჩა. ამ მებრძოლთა შორის იყო რიგითი თ. ჯანჯღავაც.

და აი ახლა ჩემს წინ არის კობტად ჩაცმული, სასიამოვნო შესახედობის ქართველი ჯარისკაცი, ვისაუბრეთ, მოვიგონეთ განვლილი დღეები. ჩემი ათეული, — მეუბნება იგი, — ნამდვილი ინტერნაციონალური ქვედანაყოფია. აქ რუსებთან ერთად არის თათარი აკუმიაროვი, ყირგიზი ბაფიზოვი, უკრაინელი ბაბენკო, აზერბაიჯანელი ჯაფაროვი. ჩვენ უაღრესად მეგობრულად ვმსახურობთ საბჭოთა ჯვეუნის შეიარაღებულ ძალებში და მზადა ვართ თავი შევწიროთ ჩვენი დიდი სამშობლოს დაცვის წმინდა საქმეს. ახლა კ ვმეცადინეობთ, ვეუფლებით სამხედრო ხელოვნებას, ვიმაღლებთ ცოდნის დონეს.

ჩემმა ათეულმა აიღო გაზრდილი სოციალისტური ვალდებულებები. მე თვითონ გადაწყვეტილი მაქვს გავამართლო „საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრაიდოსნის“ მაღალი წოდება, რომელიც მე მოკუთვნებული მაქვს. ამასთან მინდა გავხდე პირველი კლასის სპეციალისტი. ავიმაღლო ჭიდაობა სამბოს სპორტული თანრიგი.

ეი მოკლედ მისი ნაამბობი. მე კი უფრო მეტი ვიცი მის შესახებ. თ. ჯანჯღავას ხუთი ნაწილის მოწინავეთა დაფაზეა გამოკრული, იგი კომკავშირული კომიტეტის ბიუროს წევრია, ძალიან დიდი ავტორიტეტით ხარგებლობს ამხანაგებში, ხელმძღვანელობაში.

და აი ჩვენი საუბარიც დამთავრდა. ჯარისკაცებმა სიმღერით დატოვეს მიდამო და მწყობრად მიმავალი მწკრივი თვალს მიეფარა. თავის ათეულს წინ მიუძღვის ხელოვანი კომუნისტი, კულტურული და განათლებული საბჭოთა ჯარისკაცი თამაზ ჯანჯღავა.

რ. აბდულინი,
ლეიტენანტი.

სამშობლოს შვილები

ამერიკაკაკასიის წითელი დროშის ორდენოსანი სამხედრო ოლქის არტილერისტებმა იარაღისა და საბრძოლო ტექნიკის ოსტატურად დაუფლებისათვის შეჯიბრებაში აქტიური მონაწილეობით მაღალ მაჩვენებლებს მიაღწიეს საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, სიფხიზლის გაძლიერებაში, სამხედრო დისციპლინის განმტკიცებაში.

შეჯიბრების მოწინავეთა შორის, საბრძოლო შრომის შუქურებს შორის ცოტანი როდი არიან მეომარი არტილერისტები, გაწვეულნი საბჭოთა არმიის რიგებში ოთხგზის ორდენოსანი საქართველოდან.

არტილერისტები მინდვრად გავიდნენ. ჯარისკაცებმა და სერჟანტებმა გათხარეს სამალავები, გულმოდგინედ შენიღბეს ისინი. მეომრები დაიღალნენ. სანგრებში სხედან, ჩუმად ლაპარაკობენ, დროდადრო ფრთხილად წამოიწევენ, რომ გადახედონ რა ხდება იქ „მოწინააღმდეგის“ წინა კიდეზე.

— მზად იყავით საბრძოლველად! ტანკებს — ეცეცხლი! — ბრძანება გაისმა ბრძანება.

ბატარიელებმა ქვემეხებს მიაშურეს. დადგა ყველაზე პასუხსაგები მომენტი, როცა ერთად კონცენტრირებულ უნდა იქნას ადამიანის მთელი უნარი და სისწრაფე. ეს მუშაობა რომ იყო გაჩაღებული, შემმოწმებელმა ოფიცერმა გააკეთა მოულოდნელი შეფასება:

— პირველ განაგრაშებაში მემიზნე „გამოყვანილია“ მწყობრიდან!

ერთ წამს მებრძოლები შეყოვნდნენ. ამ მომენტში მაწვერის მძღოლი რიგითი თემურ მიდილაშვილი ქვემეხს ეცა. შეუპოვარი წვრთნის შედეგად კეთილსინდისიერი მეომარი, საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრაიდოსანი წარმატებით დაეუფლა მემიზნის მომიჯნავე სპეციალობას.

თემურმა სწრაფად განსაზღვრა სიშორე სამიზნემდე, გააკეთა საჭირო გაანგარიშებანი, დააყენა მიზანი. შემდეგ გულდასმით დაუმიზნა და გაისროლა.

ყუმბარა, ელვისებური სისწრაფით გავარდა და ზუსტად ჩაერჭო სამიზნის მწვანე კვადრატში. მეორე ჯურვიც მოხვდა მიზანს. ორი ყუმბარის გასროლა — ორი მოხვედრება. ჩინებულია!

— აი მსროლელი ამას ჰქვია! — ვერ შეიკავა შექება შემმოწმებელმა.

რიგითმა მიდილაშვილმა, რომელიც არმიაში გაწვეულია ქალაქ გორიდან, საქმით დამტკიცა, რომ სამხედრო საქმეს სწავლობს როგორც წესია, როგორც ეს მეომრებს უანდერძა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა.

— ამას სამშობლოს ვუძღვნი! — იყო თემურის პასუხი ჩვენთან საუბარში.

მთებში სიცივე იყო. ჰკროდა ჩრდილოეთის სწრაფი ქარი, ადამიანებს სახეში აყრიდა თოვლნარევ წვიმის წვეთებს.

მანქანების კოლონა სულ უფრო და უფრო მაღლა მთებში ადიოდა. და უცებ ყველაფერი შეჩერდა. გაისმა მოკლე, პისტოლეტის გასროლასავით ბასრი ბრძანება:

— ბრძოლისათვის მზად!

და ერთ წამში ყველაფერი ამოძრავდა. გვერდით გადაცვივდა მიწის გოროხები, კენჭები, მეკავშირეებმა სათვალთვალო პუნქტისაკენ გაჭიმეს ტელეფონის კაბელი. ბატარიის უფროსმა ოფიცერმა კი, ბუსოლი რომ დააყენა, პარალელური მაროს აგება დაიწყო. ბრძანებას ბრძანება მოსდევდა.

— მეორე მზად არის! პირველი მზად არის! — გაისმოდა გათვლათა მეთაურების პასუხი.

სროლის დაწყებისათვის მზადყოფნის შესახებ პირველმა მოახსენა ნაღმსატყორცნთა გათვლის მეთაურმა სერჟანტმა ტოფიკ აგაევმა. მის გათვლაში მემიზნემ ეფრეიტორმა ვლადიმერ გურგენიძემ შესანიშნავად შეასრულა თავისი საქმე, გადააჭარბა ყველა დაწესებულ ნორმატივს.

— ყოჩაღ, გურგენიძე! — ღიმილით უთხრა ოფიცერმა, — ნამდვილი არწივი ხარ!

ეს დამსახურებული შექება იყო. ვლადიმერ გურგენიძეს მრავალი თვის განმავლობაში შეუპოვრად უშრომია, არაერთხელ ჩაუბარებია გამოცდა საბრძოლო სიმწიფეზე და ყოველთვის გამარჯვებული გამოსულა.

ვლადიმერ გურგენიძე არმიაში გაწვეულია თბილისიდან. აქ დამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტი. ნასწავლ წელიწადს სამსახურის დროს ზედმიწევნით დაეუფლა ნაღმსატყორცნის დამიზნებლის სპეციალობას. მოიპოვა საბჭოთა არმიის წარჩინებულის წოდება. მთელ თავის ცოდნასა და ძალღონეს ახმარს საყვარელი სამშობლოს სამსახურს. მეომრის მშობლებს სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ შესანიშნავი ვაჟიშვილით.

დილის სიჩუმე დაარღვია ომახიანმა განკარგულებამ:

— ბატარიამ დაუმინოს ქვეითს ჯარს მსხვრევადი ყუმბარები... მოუხტა სრული... სამიზნე... დონე... ძირითადი მიმართულება უფრო მარჯვნივ... მეორემ...

„მეორე“ — ეს უმცროს სერჟანტ ვალერი ახობაძის გათვლაა. არტილერისტები ზუსტად და შეთანხმებულად მუშაობდნენ. ნომრებს შორის გამოირჩევა დამმიზნებელი ეფრეიტორი რონინ ღვინიანიძე, ქვემეხის ნომერი — რიგითი ჯუმაღ რასოიანი. მათ, ისევე როგორც მათს მეთაურს ცეცხლითი ოსტატობა როდი აკლიათ. გათვლას არაერთხელ მოუპოვებია წარჩინებულის წოდება.

გრიალებს სროლა... მეორედ, მესამედ... გათვლა საბრძოლო ყუმბარებს უშენს. კოლექტივი მკაცრ გამოცდას აბარებს საბრძოლო სიმწიფეზე: არტილერისტებმა პრაქტიკით უნდა დაამტკიცონ, რა ისწავლეს საბრძოლო სწავლების განვლილ პერიოდში.

გუნდები ერთიმეორეს ცვლიან. სულ უფრო დაძაბულია საბრძოლო მუშაობის ტემპები. და გათვლა კვლავ გამარჯვებული გამოდის შეჯიბრებაში, კვლავ სამართლიანად იკავებს პირველ ადგილს ბატარიაში. ამაში, რა თქმა უნდა, მცირე დამსახურება როდი მიუძღვის გათვლის მეთაურს — ხელოვნებითა უნარიან აღმზრდელს ვალერი ვიქტორის-ძე ახობაძეს.

გვინდა სულით და გულით მადლობა ვუძღვნათ ვალერის მშობლებს, თბილისში მცხოვრებთ — მამას ვიქტორ კონსტანტინეს-ძეს და დედას ნადეჟდა მიხეილის ასულს ასეთი შვილის აღზრდისათვის, რომელიც მთელ ძალღონეს ახმარს თავის ხელქვეითთა საბრძოლო სწავლებას, მათი ოსტატობის ამაღლებას, ქვეგანაყოფის საბრძოლო მზადყოფნის განმტკიცებას.

პოდპოლკოვნიკი
ა. პავლოვსკი.

ამერიკაკაკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქი. ხურათზე: სამხედრო მეცადინეობაზე.

ფ. აბულაძის ფოტო.

სანაქებო ჯარისკაცი

გეგეჭკორი. (საკ. კორ.). რაიონის მრავალი ახალგაზრდა პირნათლად იხდის მხედრულ მოვალეობას საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალებში. ერთ-ერთი მათგანია თამაკონელი ვლადიმერ ჯანაშია. ჯერ სამუალო სკოლა დაამთავრა, მერე უმაღლესი სასწავლებელი. როგორც კი არმიაში გაიწვიეს, უყოყმანოდ წაედა სამშობლოს დაცველთა რიგებში.

ჯანაშიების ოჯახმა ახლახან სამხედრო ნაწილიდან მადლობის წერილი მიიღო კარგი შვილის აღზრდისათვის.

მეგობრები

ხალხთა მეგობრობის სალამოების მოწყობა ტრადიციად იქცა პრაპორშჩიკების სკოლაში. ამას წინათ აქაური კომკავშირული ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა თემატური სალამო „ერთიან ოჯახში“.

ამ სკოლაში მეგობრულად, ძმურად სამშობლოს წინაშე ი.ავიანთ მხედრულ მოვალეობას ასრულებენ ქართველი სერგო გეგეშიძე, რუსი ნიკოლოს სიგაროვი, აზერბაიჯანელი ნადაგე ისმაილოვი, სომეხი მკრტიჩ ლოგიანი, უკრაინელი ვიქტორ პრიხოდკო და სხვები.

მიკროფონთან რიგრიგობით მიდიან სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები. ისინი დამსწრეთ მოუთხრობენ თავიანთი რესპუბლიკების სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საკითხზე.

დიდხანს ეხსომებათ კურსანტებს ქართველი სერგო გეგეშიძის ნაამბობი. მან ბევრი ილაპარაკა საბჭოთა საქართველოს წარმატებაზე, ქართველი ხალხის ისტორიაზე.

ა. ნაბორსკი,
პრაპორშჩიკთა სკოლის კურსანტი.

გვარდიული დროშის ქვეშ

საფოსტო განყოფილებაში ხშირად მოდის წერილები სამხედრო შტამპით. ამ წერილებს გზავნის ხოლმე ახალგაზრდა მებრძოლი, დრანდის (საფხაზეთის ასსრ) ჩაის ფაბრიკის კომკავშირის კომიტეტის ყოფილი მდივანი, გვარდიელი მელორ მესხი. თავისი ჯარისკაცული ცხოვრების შესახებ იგი წერილებს წერს თავის დედას — ნინოს, ახლობლებს, მეგობრებს, ჯარისკაც მელორ მესხის ნებართვით გვინდა მკითხველებს გავაცნოთ ზოგიერთი მოსახრებანი, ფიქრები და გრძნობები, რომლებიც მის წერილებშია გამოთქმული.

...არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, ჩვენ, მე და ჩემი მებრძოლი ამხანაგები მერხებზე ვისხედით. ეზოებში ბუროს ვთამაშობდით, ვთევზაობდით. დღეს კი სამშობლოს დამცველთა რიგებში ვართ, ჯარისკაცის არც თუ ისე იოლ ცხოვრებას ვეწევით. რაც უნდა იყოს, ერთი ცხადად გვესმის — გვინდა ვიყოთ ნამდვილი ჯარისკაცები, მშობლიური ხალხის სიმშვიდისა და სიმყუდროვის ერთგული დამცველნი.

... ასეულო, მოეწყეთ! — ისმის ყოველ დილით მორიგის მჭექარე ხმა, ჩვენც მივეშურებით, ვეწყობით, მივაბიჯებთ მხედრული მზნეობითა და არემარეს ეფინება ჩვენი ჯარისკაცული სიმღერის ჰანგი. ჩემს ათეულს წინ უფროსი სერჟანტი ალექსანდრე სტაროსტენი მიუძღვის. მე ვმსახურობ ასეულში, რომელშიც საძუდმოდ ჩარიცხულია საბჭოთა ქართველი მორიგი ვ. ბარანოვი. ყოველ საღამოს სიის ამოკითხვის დროს, პირველად მის გვარს გავიგონებთ ხოლმე. ეს ტრადიციულად ასე გრძელდება. ...ეს, რა თქმა უნდა, ჩვენ ახალგაზრდა მებრძოლებს, გვიყვარს. ჩვენ ახალგაზრდა ეროვნებანი ვართ. ეს ტრადიციული ... ...ეს, ...ეს ...ეს ...ეს

ანსამბლი „სინათლე“



ლაურეატის ახალი პროგრამა

ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალების სამგზის ლაურეატი, საქართველოს ლენინური კომკავშირის ლაურეატი სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „სინათლე“, რომელსაც ხელმძღვანელობს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი მ. ლომთათიძე, დაკომპლექტებულია თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს მოხამსახურეებითა და მუშა-ახალგაზრდებით.

ანსამბლი „სინათლე“ თავისი არსებობის ათეული წლების მანძილზე საგასტროლოდ იყო როგორც საბჭოთა კავშირის ქალაქებში, ისე საზღვარგარეთის მთელ რიგ ქვეყნებში.

ახლა ანსამბლ „სინათლეს“ კოლექტივი ამზადებს ახალ პროგრამას. წელს კოლექტივი იმოგზაურებს იუგოსლავიაში და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში.

• • •

სურათებზე: ქალთა ცეკვა (მარცხნივ). ანსამბლ „სინათლის“ სოლისტები დ. ალავიძე, ნ. ტოროსიანი, ც. კოტორეიშვილი და ვ. ლანჩავა. გ. გოგოხიას ფოტო.

ახალი ლექსები

გიორგი კაჭახიძე

საქართველო, გზები, გზები...

ხაქართველოს გზებზე დაღლას მონატრული,
გზას ყადგავარ ჩემს მთა-ბარში რა ხანია.
მთები, მთები,
ღამთა ფუნჯით მოხატული,
გზებს მფარველი ქვეყნის თვალით დაბარიან.

გზებზე გასვლამ დამამყვრა თუში მწყემსი,
გზამ შემყარა ხევსურები — ლუდსა სვამდნენ.
ფრთებად მეცა მათი ხიტყვა, მათი ლექსი,
მათი პური საგზლად მეყო პანკისამდე.

კახეთს მთელი ხმით გავძახე. ზვრების პატრონს.
მიწა შენ გაქვს,
ხომ უკოცნი ცვრიან კალთებს!
ბევრგან ეშხი. ქვეყნის ეშხი ისე მათრობს,
ფეხს ვერ ვიცლი და ღამესაც იქვე ვათევ.

სურვილს ზღვარი არსად უჩანს, მთა-ბარს კიდევ!
ალაზნის და ივრის ქარი ქსანზე მხვდება.
აღარც მახხოვს, ჩანთა როდის ავიკიდე,
გზა უოველდღე ახლდება და არ თავდება.

ჯერ ხადაა ცხრამუხა და ტაშისკარი,
ტაშით გმირთა მასპინძელი, მტრების ელდა.
საქართველო მართლა ასე დიდი არის,
თუ გზა დრო-დრო შეუოვნებით გამიგრძელდა!

წინ მიმიძღვის შუქი დიდი საუკუნის,
მის მომღერალს ნურც მეფიქროს გეზის შეცვლა.
თვითმფრინავმა გადასერა ცა გუგუნით
და განცდილი თბილისური ღელვით შემძრა.

ბგავს მგზავრობა, რწმენისა და ნატვრის ნადიმს,
წამოსვლის წინ თუ დამლოცა ქართველის დედამ.
მცხეთის ჯვარში დანახული მისი ლანდი
აწყურთანაც დავინახე, ზეკარზედაც.

მუხლი გზებით არ იღლება, თვალი — სივრცით,
უველაფერში ზურმუხტი და ლალი ელავს.
შორს რომ ბრწყინავს,
რაინჭესის მზეა, ვიცი,
ხანის წყალში ჩახატული ცისარტყელად.

ვხედავ გზა-გზა,
მშენებლები გამოცდილი
როგორ წრთვნიან მშენებლებად ბეჭით ბიჭებს.
ვაზის უბანს რა ხანია გამოცილდი,
ახლა ჩაის სამეფოში მივაბიჯებ.

ჯერ ხადაა ზღვისპირეთი საჭანმრთელო,
სანეტარო სტუმართა და მახპინძელთა.
მართლა ასე დიდი არის საქართველო,
თუ გზა დრო-დრო შეუოვნებით გამიგრძელდა!

ევგენი ბართაია

შრომის ახალი სიმღერა

ბეი, შენ, ხაქართველოო, —
უსაყვარლესო მხარეო,
შენი მინდორი მიუვარს და
შენი მზე მოელვარეო,
შენი ვენახი მწვანე და
ყაყაჩოების უანაო,
შენი „ჰოპუნას“ გუგუნი,
შენი ხმატკბილი „ნანაო“.

ჩემს ხაქართველოს რა უნდა
იცი, შენ, ჩემო ძმობილო? —
ზეცა რომ გაუცისკროვნო,
მიწა რომ აუფოფინო,
ხელმარჯვე კაცი სჭირდება
იმის უანებს და ვენახებს...
შენ ხად იყავ და სად არა —
სხვა ხაქართველო ვერ ნახე.

არწივო, ფრთები გაშალე,
ცას შემოევლე ირიოდ,
ირმის ბილიკი დაადგე
გაჭრილი მთების ძირიო,
გადაუფრინე მაღალ მთებს,
მზეს შეეგებე ტაშითა.
რა კარგი დარი დამიდგა,
ცაზე ვარსკვლავი გაზშირდა!

მოგვმართავს ჩვენი პარტია,
ხმები გუგუნებს
ხუთწლედის:
— დახვავდეს ბევრი
ნარინჯი,
ბევრი ხილი და უურძენი.
პურით აივსოს ბეღელი,
აფუვდეს ხვავი, ბარაქა.

ის მოგიტანოთ მარჯვენამ,
რაც გინდათ და ჯერ არა
გაქვთ!
წელი ხამოცდაცამეტი
წავიდა, შუქი დატოვა.
მეც იმ სინათლეს მივყვები,
სინათლემ დამიმარტოვა.

ამოანათა ცისკარმა —
შემოდგა წელი ახალი,
წელი ხამოცდათოთხმეტი
ვისთვის მზე, ვისთვის
ლახვარი.
რწმენის, სინდისის,
სიმართლის
წინ გვიდევს ისევ დიდი
გზა —
სიყვარულივით მაღალი,
სიხარულივით გიზგიზა.

მეგობრობაში ნაცადი,
ვაჟკაცობაში ნაცადი
ქართველი კაცი
რწმენისთვის
იბრძოდა სისხლის
დაცლამდის.
შორს კაცი დაუნდობელი,
უსაქმური და უგულო!
შრომის ახალი სიმღერა
დავკეკოთ, დავაგუგუნოთ.
შრომის ახალი სიმღერით
ამოვირბინოთ ფერდობი...
ეს ჩემი ხაქართველოა —
დედის გულივით ვენდობი.

ანონსი

დღეს, 24 თებერვალს, **დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა. უმეტესად უნალექოდ. იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში, რიონის ხეობაში — 20-25 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 11-16 გრადუსი, მთაში 4-9 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, აღმოსავლეთის რაიონებში მცირე თოვლი, ზოგან ნისლი, გზებზე ლიპაუნული. დასავლეთ რაიონებში იქროლებს აღმოსავლეთის ქარი 7-12 მეტრი წამში. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 2-7 გრადუსი სითბო, მთაში 3 გრადუსი უნვა-2 გრადუსი სითბო.

თბილისში — მნიშვნელოვანი მოღრუბლულობა, მცირე თოვლი, ნისლი, სუსტი ქარი, ტემპერატურა 5-7 გრადუსი სითბო.

მოსკოვური ქრონიკები

□

დეგიუტი დიდი თეატრის სცენაზე

მოსკოვი. (საპ. კორ.). დიდი თეატრის სპექტაკლების პროგრამა იუწყებოდა, რომ ვერდის უკვდავ ოპერა „კარმენში“ ხოზეს პარტიას შეასრულებდა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ზურაბ სოტკილავა.

და აი მთელი დარბაზი სულგანაბული უცდიდა ხოზეს — სოტკილავას გამოჩენას. ჩვენი მომღერლის დებიუტმა დიდი თეატრის სცენაზე ბრწყინვალედ ჩაიარა. როგორც აღნიშნავდა მოსკოვის პრესა, „ქართველი მომღერლის მშვენიერმა ხმამ, დიდმა სცენურმა ტემპერამენტმა, ბუნებრივმა მომხიბვლელობამ და სისადავემ, რომელსაც მთელი სპექტაკლის მანძილზე თან დაკავა ხოზეს რთული პიროვნების ბრწყინვალედ გადაწყვეტა — ყველაფერმა ამან განაპირობა ზურაბ სოტკილავას დიდი შემოქმედებითი გამარჯვება“..

◆

აბაშიდან — ირლანდიაში

„ჰარირა“ დუბლინში

აბაშა. (საპ. კორ.). შვიდი წელია, რაც აბაშის სარაიონო კულტურის სახლთან ჩამოყალიბდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჰარირა“ (მხატვრული ხელმძღვანელი ზ. თორდია, ლოტბარი ჯ. მიმინოშვილი, ქორეოგრაფი ან. თორდია), მაგრამ ამ მოკლე დროშიც მან საკმაო პოპულარობა მოიპოვა. უკვე გამართა მეზობელ რაიონებში 300-მდე კონცერტი, მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკურ ფესტივალებსა და ოლიმპიადებში, ხოლო მარშან შემოდგომაზე თვითმქმედი ანსამბლების საკავშირო კონკურსზე პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

ამ დღეებში სასიხარულო ცნობა მოვიდა აბაშაში — „ჰარირა“ მიწვეულია მსოფლიოს ფოლკლორისტთა X ფესტივალზე, რომელიც გაიმართება აპრილში ირლანდიის დედაქალაქ დუბლინში.

□

მცხეთელი მინდიას გახსენება

მცხეთა. (საკ. კორ.). მიხეილ მამულაშვილის ხსოვნას მიეძღვნა კინოთეატრ „კარიბჭეში“ გამართული საღამო. სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსმა ნიკო ეკეხველმა, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორმა ო. ეგაძემ, თბილისის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელმა გ. მანგაძემ, საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორმა დ. ნავდარაშვილმა, პოეტმა ვ. მამულაშვილმა.

საღამოზე გამოქვეყნდა ცნობა რაიონული ცენტრის ერთ-ერთი ქუჩისათვის მ. მამულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ. მცხეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს მ. მამულაშვილისადმი მიძღვნილი ქართველ პოეტთა ლექსები.

შემთხვევა

ტყე დაწვას გადაარჩინეს

ტყიბული. (საკ. კორ.). ეს მოხდა ღამის 2 საათზე. მძიმეწონიანი მატარებლის მემანქანემ მ. გვეტაძემ შენიშნა, რომ სოფელ ივანეულის ტყეს ხანძარი გასჩენოდა. ბუნების ქომაგმა ელმავლის საყვირით განგაში ატეხა. შემთხვევის ადგილზე პირველი გამოცხადდნენ ხრესილის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ლ. ობოლაძე, პურის საცხობის გამგე პ. ობოლაძე და ელექტრომონტიორი ბ. ბრეგაძე. მამაცმა ადამიანებმა გზა გადაუკრეს სტიქიას. როცა მეხანძრეები მოვიდნენ, ცეცხლი თითქმის ჩამქრალი იყო.

ჭადრაკი

კვლავ ყაიმი

კიროვოგრადი, 23 თებერვალი, (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). დღეს აქ გაიმართა მსოფლიოს ნემპიონობის შესარჩევ ოთხთა მატჩ-ტურნირის მორიგი, მეხუთე ტური. ნანა ალექსანდრია შავებით ეთამაშებოდა მარტა შულს. პარტია ყაიმით დამთავრდა. წინა ტურის გადადებულ პარტიაში კონოპლოვასთან შულმა გამარჯვებას მიაღწია.

ამრიგად, მატჩ-ტურნირს სათავეში კვლავ ნანა ალექსანდრია უდგას. ლიდერს 5 შესაძლებლიდან 4 ქულა აქვს.

24 თებერვალს ნ. ალექსანდრია თეთრებით ხვდება კონოპლოვას.

დღეს სასახლის სარბიელზე...

თბილისის VII ჩემპიონატი მინი-ფეხბურთში

ფეხბურთის გულშემატკივრები, რომლებიც გუშინდელ მატჩებს ესწრებოდნენ სპორტის სასახლეში, ვფიქრობთ, არ გაწბილებულან. მართალია, ამ დღეს არ თამაშობდნენ პირველობისა და საპრიზო ადგილების მაძიებლები, მაგრამ ოთხიანე შეხვედრამ ბევრი სასიამოვნო წუთი განგაცდევინა.

პირველად მოედანზე გამოვიდნენ მე-7 და მე-8 ადგილებისათვის მოსაპარაზე გუნდები „არაგვი“ — „ივერია“ (უფროსი ასაკი) და „შთია“ — „ვარძია“ (უმცროსები). ორივე შეხვედრაში აღინიშნა, დიდი ანგარიში — 4:0 და 6:1, შესაბამისად, „შოშიასა“ და „არაგვის“ სასარგებლოდ.

ძალზე დაძაბულად წარიმართა „ფერგი“ — „განთიადის“ (1961 წელს დაბადებულნი) და „განთიადი“ — „ივერიის“ (1962 წ.) შეხვედრები.

ეს გუნდები მეხუთე-მეექვსე ადგილისათვის იბრძოდნენ. თუ „ივერიამ“ თამაშის ძირითად დროში (ორი ტაიმი 20-20 წუთი) შეძლო წარმატების მიღწევა — 2:1, მეორე ორთაბრძოლაში (2:2) საკირო გახდა პენალტების სერიის დანიშნა. გათითიდელებმა უფრო ზუსტად შეასრულეს 7-მეტრიანი დარტყმები (3:1) და გაიმარჯვებულობა დატოვეს მოედანი.

დღეს გადამწყვეტი მატჩებია სპორტის სასახლის გარდამავალ პრიზზე, რომელთა დამთავრების შემდეგ ტურნირის ორგანიზატორები ფეხბურთის მოყვარულებს საინტერესო სიურპრიზს უმზადებენ: ამხანაგურ მატჩში ერთმანეთს შეხვდება ტურნირში მონაწილე გუნდების მწვრთნელთა — ქართული ფეხბურთის ვეტერანების სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა ორი ნაკრები. სარბიელზე ვიხილავთ მიხეილ მესხს, დავით ხუნდაძეს, ვახტანგ რეხვიაშვილს, სერგო კოტრიკაძეს, ბორის სიჭინავას, თენგიზ მელაშვილს... და მატჩის მსაჯს — სპორტის დამსახურებულ ოსტატს ბორის პაიჭაძეს.

ო. ნოზაძე.

გ. კულაკოვას მესამე „ოქრო“

შვეიცარიის ქალაქ ფალუნიდან კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა მოვიდა. საბჭოთა კავშირმა, რომელსაც სათავეში უდგას სპორტის დამსახურებული ოსტატი გალინა კულაკოვა, მსოფლიოს ჩემპიონის წოდება მოიპოვა ამანათრენში 4X5 კმ. მეორე ადგილზე გამოვიდა გდრ-ის გუნდი, მესამეზე — ჩეხოსლოვაკიის. აღსანიშნავია, რომ გ. კულაკოვამ შეძლო ოლიმპიურ საპორფით მოპოვებული წარმატების განმეორება — სამშობლოში. მას კვლავ ერთდროულად ოქროს სამი მედალი ჩამოაქვს.

მატჩი ლესელიძეში

გუშინ ლესელიძეში გაიმართა ამხანაგური საკონტროლო მატჩი „ა“ კლასის პირველი ლიგის გუნდებს — ჭუთაისის „ტორპედოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ შორის. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვეს ვოლგისპირელმა ფეხბურთელებმა.

ბრაზილიელები ასახელებენ შემადგენლობას

თუმცა მსოფლიოს X ჩემპიონატის დაწყებამდე (13 ივნისი — 7 ივლისი) ჯერ კიდევ საკმაო დროა დარჩენილი, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა მარიო ზაგალომ უკვე დაასახელა იმ 22 ფეხბურთელის გვარი, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მიუნხენის ტურნირში.

ესენი არიან: **მეკარეები** — **ფელიჭსი** („ფლუმინენსე“), **ლეაო** („პალმეირასი“), **ვენდელი** („ბოტაფოგო“), **მცველები** — **კარლოს ალბერტო** („სანტოსი“), **ზე მარია** („კორინტიანსი“), **ლუის პერეირა** („პალმეირასი“), **პიაცა** („კრუზეირო“), **მარკ ანტონიო** („ფლუმინენსე“), **მარინიო** („ბოტაფოგო“), **მარინიო** („სანტოსი“), **ალფრედო** („პალმეირასი“), **ნახევარმცველები** — **ელდოალდო** („სანტოსი“); **რიველინო** („კორინტიანსი“), **ადემარ და გეია** („პალმეირასი“), **პაულო ცეზარი** („ინტერნასიონალი“), **კარბონე** („ბოტაფოგო“), **თავდამსხმელები** — **ეაირზინიო** („ბოტაფოგო“), **ლეივინია** („პალმეირასი“), **პაულო ცეზარი** („ფლამენგო“), **დირნეუ** („ბოტაფოგო“), **ენენსი** („პორტუგეზა“) და **მირანდინია** („სან პაულუ“).

ასე რომ, ბრაზილიის ნაკრებში შვიდი ახალბედა ფეხბურთელია. აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს ჩემპიონის შემადგენლობაში ახლა თამაშობს ორი მარინიო და ორი პაულო ცეზარი.

მცხეთელი მინდიას გახსენება

მცხეთა. (საკ. კორ.). მიხეილ მამულაშვილის ხსოვნას მიეძღვნა კინოთეატრ „კარიბჭეში“ გამართული საღამო. სიტყვები წარმოთქვეს აკადემიკოსმა ნიკო ეკეხველმა, გამომცემლობა „ხელოვნების“ დირექტორმა ო. ეგაძემ, თბილისის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელმა გ. მანგაძემ, საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორმა დ. ნავდარაშვილმა, პოეტმა ვ. მამულაშვილმა.

საღამოზე გამოქვეყნდა ცნობა რაიონული ცენტრის ერთ-ერთი ქუჩისათვის მ. მამულაშვილის სახელის მინიჭების შესახებ. მცხეთის საშუალო სკოლის მოსწავლეებმა წაიკითხეს მ. მამულაშვილისადმი მიძღვნილი ქართველ პოეტთა ლექსები.

გმირთა მოედანზე თბილისში



— მართლა გმირი უნდა იყო, რომ გახვიდე გმირთა მოედანზე.

ა. კანდელაკის ნახატი.

ბრაზილიის ახალი მთავრობა

ბრაზილია, 22 თებერვალი. (საკდესი). მომდინარე წლის 15 იანვარს არჩეულმა ბრაზილიის პრეზიდენტმა ერნესტო გეიზელმა შეადგინა მთავრობა, რომელსაც იგი ჩაუდგა სათავეში. კაბინეტის ახალ შემადგენლობაში, რომელიც პრეზიდენტთან ერთად 15 მარტს შეუდგება მოვალეობის შესრულებას, შევიდა ბევრი სამხედრო პირი, აგრეთვე მთელი რიგი პოლიტიკური მოღვაწეები და სამრეწველო წრეების წარმომადგენლები. საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტს დაიკავებს **ანტონიო ფრანსისკუ აზევედუ და სილვეირა,** რომელიც ამჟამად ბრაზილიის ელჩია არგენტინაში.

ბანგლადეშმა ცნო პაკისტანი

დაკა. 23 თებერვალი. (საკდესი). **ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მუჯიბურ რაჰმანმა განაცხადა, რომ ბანგლადეშმა ოფიციალურად ცნო პაკისტანი.** მან აგრეთვე თქვა, რომ მიიღო მიწვევა მონაწილეობა მიიღოს მუსლიმანური ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების კონფერენციაში, რომელიც დღეს გაიხსნა პაკისტანის ქალაქ ლაჰორში.

ხელი მოაწერეს ოქმს

ანკარა. 23 თებერვალი. (საკდესი). საბჭოთა კავშირისა და თურქეთის რესპუბლიკის საგანგებო დელეგაციების მოლაპარაკების შედეგად დღეს ანკარაში ხელი მოაწერეს ოქმს 1974 წლის სსრ კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის საქონელბრუნვის შესახებ.

ოქმი ითვალისწინებს, რომ ორ ქვეყანას შორის საქონელბრუნვა 1973 წელთან შედარებით თითქმის ერთიორად გაიზარდოს.

ბელგიელ ფეხბურთელთა ბანკეტი

ბრიუსელი, 23 თებერვალი. (ტასი). ბელგიელ ფეხბურთელთა ბანკეტზე, ბელგიის ფეხბურთის ეროვნული ასოციაციის ინიციატივით, ბელგიის ეროვნული ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ ბ. ბეიენს ბელგიის ოქროს ბურთი ჩაბარდა.

ბ. ბეიენ ბელგიის ოქროს ბურთი

ბ. ბეიენ ბელგიის ოქროს ბურთი ჩაბარდა. ბ. ბეიენ ბელგიის ეროვნული ნაკრების ყოფილ ფეხბურთელ